## მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

### დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | **შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატი“** |
| საიდენტიფიკაციოკოდი | 230068066 |
| რეგიონი | იმერეთი |
| რაიონი | **ზესტაფონი** |
| მისამართი | **ჰანტურიას ქ. 2** |
| საფოსტოინდექსი | 2000 |
| დაწესებულებისვებ-გვერდი | ornati.ge |
| დაწესებულებისელ-ფოსტა | skolaornati@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 593265326 |
| **დაწესებულების ხელმძღვანელი/** | |
| სახელი და გვარი | ლამზირა ბიწაძე |
| ტელეფონი | 593265326 |
| ელ-ფოსტა | |
| **დაწესებულებაშიმოსწავლეებისადაპედაგოგების რაოდენობა** | |
| პედაგოგი | 31 |
| სერტიფიცირებული პედაგოგი | 31 პედაგოგიდან 12 არის უფროსი |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | სსსმ მოსწავლე არ ერიცხებათ |
| **ინფორმაციადაწესებულებისავტორიზაციისშესახებ** | |
| გადაწყვეტილებისნომერი | 24.08.2016. N66 |
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 177 |

**დაწესებულებაახორციელებს**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................

## სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| დაწყებითზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას | ■ |
| საბაზოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას | ■ |
| საშუალოზოგადსაგანმანათლებლოსაფეხურისსაგანმანათლებლოპროგრამას | ■ |
| პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამას | □ |

**ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ**

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის **02. 11.2018 წლის N 979 ბრძანება** |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ლევან ღურწკაია (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ნინო გოგსაძე (ჯგუფის წევრი) |
| ვიზიტისგანხორციელების პერიოდი | 12.11.2018- 14.11.2018 |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 19.11.2018 |

**ავტორიზაციისსტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

## მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

### I. საგანმანათლებლოპროგრამები

**1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას**

| | |
|---|---|
| აღწერა | **შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატი“**-ს 2018-19 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა განხილულია და დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს 2018 წლის 10 სექტემბრის N1 სხდომაზე(პედსაბჭოს სხდომის ოქმი N1).**დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმა არ წარმოუდგენია ერთიანი დოკუმენტის სახით, თუმცა წარმოადგინა სკოლის სასწავლო გეგმის ცალკეული ნაწილები,** რომლებიც **ვიზიტის პერიოდში დამტკიცდა** უფლებამოსილი პირის, კონკრეტულად კი დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.<br>წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული, რომელიც აზუსტებს სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.<br>სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:<br>• **მისია;**<br>საგანმანათლებლო საქმიანობა წარმართოს საქართველოს სახელმწიფო და საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე და აღზარდოს მაღალი აკადემიური განათლების, ანალიტიკურად მოაზროვნე, მოტივირებული, ინფორმირებული, კანონმორჩილი, ტოლერანტი, მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც ორიენტირებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებსა და ვალდებულებებზე. სკოლისამოცანაა შექმნას ისეთი სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე სწავლების ყველა საფეხურზე, რომ მათ შეძლონ აირჩიონ თავიანთი მომავალი განვითარები სგზა, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები. იქნება წიგნიერი, მოაზროვნე და გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებაში. ყველა მოსწავლემ სკოლაშივე მიღებული ცოდნით უნდა შეძლოს წარმატებით ჩააბაროს საატესტატო და ეროვნული გამოცდები და ფლობდნენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევებს და პრაგმატულ აზროვნებას.<br><br>სკოლამ წარმოადგინა **2018-2019** სასწავლო წლისათვის ***დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მუშაობის გეგმა*** (I-XII კლასები),*რომელშიც გაწერილია* სამივე საფეხურის მისია,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივ **ბადესთან. საათობრივ ბადეში არის დამატებული საათები;**<br>• **ინკლუზიური სწავლების პრინციპები-** ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებულია **ინკლუზიური განათლების დებულება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის, რომელსაც სკოლა განახორციელებს საჭიროების შემთხვევაში;** ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, ამიტომ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმები არ იყო შემუშავებული;<br>• **კლასის დამრიგებლების დებულება -** სადამრიგებლო პროგრამაში აღწერილია სკოლის სააღმზრდელო მუშაობის ხედვა, დამრიგებელთა მოვალეობები |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | და ფუნქციები. სადამრიგებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები, სადამრიგებლო პრინციპები, ძირითადი მიმართულებები, მოთხოვნები და ვალდებულებები, სადამრიგებლო პროგრამა არის ზოგადი;<br>• **ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი არ არის წარმოდგენილი ცალკე დოკუმენტის სახით, თუმცა ისინი მოცემულია სასკოლო გეგმაში.**<br>სკოლა XII კლასის მოსწავლეებს სთავაზობს „საგანს": „ზოგადი უნარები", რომელსაც დათმობილი აქვს კვირაში 4 საათი. **VII კლასელებს სთავაზობს გახანგრძლივებულ სწავლებას, თუმცა ვერ წარმოგვიდგინეს გახანგრძლივებული ჯგუფის დებულება.** ამ ჯგუფის ფარგლებში მოსწავლეებს უტარდებათ დამატებითი გაკვეთილები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ინგლისურ ენაში.<br>**ზოგადი უნარებისა და გახანგრძლივებული ჯგუფის დამატებითი გაკვეთილებისთვის საგნებში (მათემატიკა და ინგლისური ენა) სკოლას არ ქონდა შემუშავებული შეფასების მექანიზმები, მომზადდა ვიზიტის პერიოდში, თუმცა იქაც არ ჩანს თუ რაზე დაყრდნობით ხდება განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასება:**<br>• საგნის სწავლების მიზანი;<br>• რა სახით ტარდება - ფაკულტატური, თუ სავალდებულო;<br>• სასწავლო პროგრამა;<br>• **შეფასების პრინციპი(ქულა/ჩათვლა).**<br>• სახელმძღვანელოები და რესურსები მოცემულია მხოლოდ ზოგადი **უნარების სწავლებისთვის, კერძოდ: „აიმც - ზოგადი უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილები", ავტ. თ შოშიაშვილი, ე. ზაგაშვილი, თ. კვირკველია და რესურსად: საგამოცდო ცენტრის მიერ ეროვნულ გამოცდებზე 2005-16 წლებში გამოყენებული ტესტები.** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

- **სასწავლო მასალა წარმოდგენილია მხოლოდ გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხის სახით (კლასების/დონეებისადა საგნების მიხედვით)** - სკოლაში გამოყენებული ყველა სავალდებულო სახელმძღვანელო გრიფირებულია;
- **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა,** სადაც არ არის დაკონკრეტებული სასკოლო შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, შეფასების ტიპები, ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები და მათი აღწერილობა, სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები, შემაჯამებელი დავალების კომპონენტები და აღდგენის წესი, ქულების გამოანგარიშების წესი, კლასისა და საფეხურის დაძლევა, შეფასება და გაცდენები, გამოცდის ტიპები, დაწვრილებით გაწერილია სემესტრული, წლიური, საშემოდგომო, ექსტერნატის ფორმით და გამოსაშვები გამოცდა, შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა. აქვე მოცემულია სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, რომელიც ზოგადია და აღნიშნულია შეფასების ერთერთი კომპონენტ ფასდება 0-2 შეფასებისთ, რაც ეწინააღმდეგება ესგ-ს. **აღსანიშნავია რომ დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა დოკუმენტი, რითაც დასტურდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.**

საგნობრივი კათედრების და კათედრის გამგის ფუნქციები;

- **საათობრივი ბადე** - სკოლის საათობრივი ბადე მოიცავს I - XII კლასის გაკვეთილების განრიგს, რომელიც განსხვავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადესიგან კონკრეტულად:
- **II კლასში დამატებულია ინგლისურის 2 საათი;**
- **III კლასში დამატებულია ინგლისურის 2 საათი;**
- **IV კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათიდა რუსულში დამატებითი მომსახურება;**
- **V კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათი;**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

| | |
|---|---|
| | • **VI კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათი;**<br>• **VII კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათიდა მათემატიკის 1 საათი;**<br>• **VIII კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათიდა მათემატიკის 1 საათი;**<br>• **IX კლასში დამატებულია ინგლისურის 1 საათი;**<br>• **X კლასში დამატებულია ინგლისურის 2 საათი;**<br>• **XI კლასში დამატებულია ინგლისურის 2 საათი, გეოგრაფია 1 საათი, ფიზიკა 1 საათი, ბიოლოგია 1 საათი;**<br>• **XII კლასში დამატებულია ლოგიკა I სემესტრი 6 საათი და I სემესტრი 7 საათი; დამატებით საათებზე ვიზიტის პერიოდში მოამზადეს და წარმოადგინეს დოკუმენტაცია.**<br><br>**დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა დოკუმენტი რომელიც ზოგადია, მის საფუძველზე ვერ ხერხდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.**<br><br>წარმოდგენილია გაკვეთილების ცხრილი პირველდან მე–12 კლასების ჩათვლით; სკოლას არჩევით საგნებად შეთავაზებული აქვს:<br>• მსოფლიო კულტურა- X კლასში;<br>• XIX და XX საუკუნის დასავლური ლიტერატურა - XI კლასში;<br>• კინო ხელოვნება - XII კლასში.<br>**ვიზიტის პერიოდში მოამზადეს და წარმოადგინეს დოკუმენტაცია.**<br><br>2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში არჩეული სპორტის სახეობებია:<br>• VII-VIIIფეხბურთი;<br>• IV-VI - კლასი - ჭადრაკი;<br>• IX-XII კლასი - მაგიდის ჩოგბურთი.<br>*მასწავლებლებს ჟურნალში ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაჯამებები აქვთ.* |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო-სასწავლო გეგმით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | • სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით **(ოქმი N 1; 10.09.2018.);**<br>• სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• **კათედრების ოქმებით;**<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დარღვეულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა" პუნქტი |

1. **სასკოლოსასწავლოგეგმაპასუხობსშესაბამისისაფეხურისმოსწავლეთამოთხოვნებსდასაშუალებასაძლევსმათ,**
2 **შეიძინონეროვნულისასწავლოგეგმითგათვალისწინებულიცოდნა, უნარებიდაღირებულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში მიმდინარე 2018-2019 სასწავლო წელს სწავლა მიმდინარეობს პირველ, მეორე და მესამე საფეხურზე და ფუნქციონირებს **ექვსი საგნობრივი კათედრა:**<br>• **ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა;**<br>• **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის კათედრა;**<br>• **უცხოური ენების კათედრა;**<br>• **საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა;**<br>• **დაწყებითების კათედრა**<br>• **ესთეტიკა დაფიზიკური აღზრდის კათედრა.**<br><br>კათედრების პორტფოლიოებში ინახება ინფორმაციები მასწავლებლების შესახებ, შეფასების კრიტერიუმები, კათედრის სამუშაო გეგმები, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზის ფორმები.<br>მასწავლებლებს აქვთ საქაღალდეები, რომლებშიც ინახება პირადი მონაცემები, თემატური გეგმები საგნებისა და საფეხურების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტები. თემატური **გეგმების ნაწილი** შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | გეგმასთან.<br>პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდგენილია შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და შედეგებით. შემაჯამებელ დავალებას ახლავს სტანდარტის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება, შეფასების რუბრიკა. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილია კლასის შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, თუმცა ზოგადია.<br>სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა დახასიათების ფორმა, რომელიც ივსება კლასის ხელმძღვანელის მიერ I სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით **( N 1; 10.09.2018);**<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით;<br>• მოსწავლეებთან გასაუბრებით;<br>• კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი |

**1. სასკოლოსასწავლოგეგმამოსწავლესუზრუნველყოფსსწავლისადაგანვითარებისთანაბარიშესაძლებლობით.**

**3 სკოლასაქვსსპეციალურიპროგრამაგანსაკუთრებულისაგანმანათლებლოსაჭიროებებისმქონემოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში ამჟამად ირიცხება 148 მოსწავლე. შექმნილია სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. **სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის.** გაწერილია ზოგადი პრონციპები. **ამჟამად სკოლაში არ ირიცხება ასეთი მოსწავლე, თუმცა, სკოლა მზად არის სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში შეიმუშაოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და განსაზღვროს მოსწავლის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მიზნის** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | |
|---|---|
| | **მიღწევის სტრატეგიები და სტრატეგიების განხორციელების მექანიზმები მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.**<br>ყოველივე საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს საჭირო ცოდნა, უნარი და დამოკიდებულება. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ" პუნქტი |

1. **სკოლაშიარსებულიმოსწავლეთაშეფასებისსისტემაშეესაბამებაეროვნულსასწავლოგეგმას.**
4 **შეფასებისკრიტერიუმებიგამჭვირვალეა, ცნობილიასასკოლოსაზოგადოებისათვისდაშედეგებიგამოიყენებამოსწავლეთააკადემიურიმოსწრებისგასაუმჯობესებლად**

| | |
|---|---|
| აღწერა | სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია **მოსწავლეთა შეფასების სისტემა,** შემუშავებულია შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები.<br>სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, რის დასადასტურებლად წარმოადგინეს კონკრეტული რუბრიკები და ორივე ტიპის შეფასების მაგალითები.<br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია და კათედრების პორტფოლიოებში ასახულია შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.<br>მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი არ იცნობენ შეფასების სისტემას, არა აქვთ ინფორმაცია შეფასების რუბრიკების შესახებ. ავტორიზაციის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | გავლის დროს პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია მშობლებთან დამატებითი შეხვედრის შესახებ შეფასების სისტემის გაცნობის მიზნით. |
| დადასტურება/დანართი | • სასკოლო სასწავლო გეგმით;<br>• პედაგოგებთან გასაუბრებით;<br>• საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებით;<br>• მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ" პუნქტი |

**1.5 შემუშავებულიამოსწავლისაკადემიურიმოსწრებისშესახებმშობლისინფორმირებისწესიდამშობელიუზრუნველყოფილიასასკოლოცხოვრებაშიმონაწილეობისშესაძლებლობით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესები, რაც უზრუნველყოფს სასკოლო ცხოვრებაში მათ ჩართულობას. მშობლის ინფორმირების წესი არ არის გაწერილი სკოლის შინაგანაწესში.<br>მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება facebook-გვერდი, სატელეფონო ზარი ან შეტყობინება, დაწესებულების განცხადების დაფა.<br>მშობელს მუდმივად მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლის როგორც აკადემიური მოსწრების, ისე დისციპლინარული გადაცდომების შესახებ. მშობელთა ინფორმირება ხდება დამრიგებლის მიერ ინდივიდუალური შეხვედრის დროს, სატელეფონო ზარის საშუალებით, ელექტრონული შეტყობინებით.<br>მშობელთა კრება იმართება ყოველთვიურად. მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად შეიძლება მოწვეულ იქნას რიგგარეშე კრება. |
| დადასტურება/დანართი | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | • შინაგანაწესით;<br>• **სადამრიგებლო პროგრამით;**<br>• **დამრიგებლის სამუშაო გეგმით;**<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით;<br>• მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი |

**1.6 შემუშავებულიასასკოლოსასწავლოგეგმისშეფასებისადაშემდგომიგაუმჯობესებისმექანიზმი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლამ ვერ წარმოადგინა სხვადასხვა სახის კითხვარი, რომლითაც ხდება პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა, სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებლებთან და კათედრის წევრებთან გასაუბრევის დროს აღინიშნა, რომ ხორციელდებოდა ურთიერთდასწრება, მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა, თუმცა ეს დოკუმენტალურად ვერ დადასტურდა.**აღსანიშნავია რომ დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა მშობლის კითხვარის ნიმუში** |
| დადასტურება/დანართი | • მასწავლებლებთან გასაუბრებით;<br>• სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილესთან გასაუბრებით;<br>• კათედრის ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტი |

II. მატერიალურირესურსი

**2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:**

| | |
|---|---|
| აღწერა | • შპს ზესტაფონის ზოგადსაგანმანათლებლო არასახელმწიფო საერო ჰუმანიტარული საშუალო სკოლა „ორნატი" მდებარეობს ქ. ზესტაფონში ჭანტურიას ქ. N 2-ში არსებული სამსართულიანი შენობის პირველ,მეორე და მესამე სართულებზე. სკოლამ (ს.კ. 230068066) სს „გრაცია" სგან იჯარის ხელშეკრულებით (ხელშეკრულების გაფორმების პერიოდი 01/11/2015 უვადოდ) მიიღო: 1300 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და **მიწის ნაკვეთის კუთვნილება არ ფიქსირდება. დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა იჯარის ხელშეკრულება, რითაც დასტურდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.** |
| მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი | განხადების რეგისტრაციის N 892018466655. ს.კ. : 32.10.33.683 |
| დადასტურება/დანართი | • იჯარის ხელშეკრულებით;<br>• საჯარო რეესტრიდან ამონაწერით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | |
|---|---|
| | მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

**ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას ნახაზის მიხედვით აქვს 45 ოთახი, თუმცა სასკოლო საჭიროებისათვის იყენებს 21 საკლასო და 1 დამხმარე ოთახი (ექიმისათვის). სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა 12 ნათელ ოთახში. მაგიდის ჩოგბურთისათვის არის მინი დარბაზი, ერთი კომპიუტერული ლაბორატორია.**საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია განთავსებული არის ორ ოთახში. კონკრეტულად- ფიზიკის ლაბორატორია განთავსებულია სამოქალაქოს განათლების კაბინეტში, ხოლო ქიმია-ბილოგიის ლაბორატოტია ცალკე ოთახში რომელსაც არა აქვს გამწოვი, თუმცა აქვს დიდი ფანჯრები განიავებისათვის**. საკლასო ოთახებში არის ერთადგილიანი და ორადგილიანი მერხები და სკამები.<br>საკლასო ოთახებში არის მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა და აუცილებელი მინიმალური ავეჯი. სკოლის მფლობელობაშა 199 ერთადგილიანი 8 ორადგილიანი მაგიდა. 258 სკამი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებით;<br>• მატრეიალურ ფასეულობათა რაოდენობრივ-თანხობრივი აღრიცხვის ჟურნალით; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი. |

**გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას არ აქვს გარე მოედანი სპორტის გაკვეთილის ჩასატარებლად. სპორტის სახეობებად არჩეული აქვთ მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და ფეხბურთი.<br><br>სკოლას შეძენილი აქვს ჭადრაკის 9 კომპლექტები და სხვადასხვა ინვენტარი ფიზიკური აქტივობისათვის.**სკოლის შენობაში არსი დიდი ოთახი სადაც განთავსებულია მაგიდის ჩოგბურთისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა** |
| დადასტურება/დანართი | • ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

**დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ლაბორატორია მოთხოვნებთან შესაბამისობაშია. ფიზიკის ლაბორატორია განთავსებულია სამოქალაქო განათლების ოთახში, ხოლო ქიმია - ბილოგიის ლაბორატორია ცალკე ოთახში სადაც არის ორი დიდი ფანჯარა განიავებიასათვის, ოთახში არის სველი წერტილი და **გეგმაში აქვთ დააყენონ გამწოვი**. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | |
|---|---|
| | • სასაქონლო ზედნადებებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის და წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლის მეორე და მესამე სართული თბება გაზის ცენტრალიზებული სისტემით და პირველი სართული ელექტრო გამათბობლებით.<br><br>პირველ სართულზე სკოლას აქვს 7 სველი წერტილი, მათ შორის ორი ვაჟებისათვის და სამი გოგონებისათვის აქვე არის სსსმ მოსწავლისათვის ადაპტირებული სველი წერტილი. მეორე სართულზე არსებული საპიფარეშოთი სარგებლობს ვაჟებიც და გოგოებიც. მესემე სართულზე არსებული საპირფარეშო დაკეტილია იმ მიზეზით რომ სარგებლობს საბავშვო ბაღი. **დარღვეულია ჰიგიენის ნორმები.** |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

| | |
|---|---|
| | • გადახდის ქვითრებით. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |

**2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც ფუნქციონირებს ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო და წიგნსაცავი ერთ სივრცეშია. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდია540 ერთეული. ბიბლიოთეკაში იყო სკოლის მიერ არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი (260 ერთეული).<br><br>ყველა წიგნი გატარებულია სათანადო წესით. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკის დებულება. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ბიბლიოთეკის დებულებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

**2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის. ადმინსტრაციის განმარტებით და ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ სსსმ მოსწავლის ხელმისაწვდომობის მიზნით ყველა რესურსი (ლაბორატორია და ბიბლიოთეკა) განთავსებულია პირველ სართულზე |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• მშობლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. |

**2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არა უმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის 8 პერსონალური კომპიუტერი და 1 ლეპტოპი, 3 კომპიუტერი არის ადმინისტრაციის განკარგულებაში. 2 პრინტერი (კომბაინი) და ერთი პრინტერი. ყველა კომპიუტერი არის ინტერნეტში ჩართული.<br><br>სკოლას აქვს ვებ-გვერდი http://ornati.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება კომუნიკაციისათვის იყენებს ელექტრონულ ფოსტას - skolaornati@gmail.com |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

| | |
|---|---|
| | • სასაქონლო ზედნადებებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით;<br>• ვებ-გვერდითhttp://ornati.ge<br>• დომენის ხელშეკრულებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.<br>დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე" რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

**2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის პირველ სართულზე არის ხანძარსაწინააღმდეგო დაფა 2 ცალი ცეცხლმაქრით და მეორე მესამე სართულზე თითი-თითო, რომლებიც არის ახალი დამუხტული. სკოლამ წარმოადგინა საბანკო გადარიცხვის ამონაწერი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის შესახებ. მეორე და მესამე სართულზე განთავსებულია თითო ცეცხლმაქრი. |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დაცვისა და უსაფრთხოების წესებით;<br>• საშტატო განრიგით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | • სასაქონლო ზედნადებით;<br>• ინვენტარიზაციის აქტით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის სამივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც დამზადებულია შესაბამისი სამსახურის მიერ. საევაკუაციო გეგმას თან ახლავს დეტალური ინსტრუქცია. |
| დადასტურება/დანართი | • საევაკუაციო გეგმებით;<br>• სასაქონლო ზედნადებით; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | **სკოლამ ვიზიტის პერიოდში გააფორმა ბრძანება ექიმითან სადაც გაწერილია მისი ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები.**საქმისმწაროებლის ოთახში არის სამედიცინო კუთხე - კარადით, შესაბამისი მედიკამენტებით. |
| დადასტურება/დანართი | • საშტატო განრიგით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ........................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში წესრიგს და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ პედაგოგები მორიგეობის მეშვეობით (ამისათვის არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული მორიგეობის ცხრილი),**ასევე ვიზიტის პერიოდში ჩართეს ვიდეო სამეთვალყურეო კამერები**<br><br>**სკოლის შენობის მესამე სართულზე ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება საბავშვო ბაღი „ორნატი". სკოლა და საბავშვო ბაღი სარგებლობენ ერთი შესასვლელით, რის გამოც შეუძლებელია სკოლის ტერიტორიაზე მოძრავ პირთა კონტროლი, შესაბამისად დარღვეულია მოსწავლეთა უსაფრთხოება.**<br><br>**ვიზიტის მსვლელობის დროს სკოლის ადმინისტრაციას მიეცა შესაბამისი განმარტება. მათი მხრიდან შესაძლო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტები, ადმინისტრაციის განმარტებით წარმოდგენილი იქნება საბჭოს სხდომაზე.** |
| დადასტურება/დანართი | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დაცვისა და უსაფრთხოების წესებით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში, პირველ სართულის ფოიეში დამონტაჟებულია სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისი 1, მეორე და მესამე სართულზე თითო-თითო და გარე 3 უსაფრთხოების კამერა, რომლებიც უზრუნველყოფდა სკოლისში და პერიმეტრის, შემოსასვლელის და გარე პერიმეტრის კონტროლს, **რომელიც ასევე ჩერთეს ვიზიტის პერიოდში.** |
| დადასტურება/დანართი | • კამერების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;<br>• სასაქონლო ზედნადებით; |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

**2. სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

7 **მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები**

| | |
|---|---|
| აღწერა • | სკოლას დირექტორის ბრძანებით აქვს დამტკიცებული შინაგანაწესი და დებულება, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი თანამშრომელთა ფუნქციები, ასევე მიღების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის და დათხოვნის წესები, თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის ვალდებულებანი, სამუშაო დრო და პირობები, შვებულების მიცემის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების, თანამშრომელთა ინფორმირების, სამსახურში არყოფნის ინფორმირების წესები და ღონისძიებები, წახალისება, შრომის დისციპლინის დარღვევა, მასწავლებლის, მშობლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლის ვალდებულებები, მოსწავლის წახალისება და შეუფერებელი ქცევის შედეგები, სკოლის შიდა კონტროლის სისტემა. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესით;<br>• სკოლის წესდებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

2.8 **შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს**

| | |
|---|---|
| აღწერა • | **დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დირექტორის ბრძანებით დამტკიცა სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა.** ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სკოლის მიზნებზე და პრიორიტეტებზე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | დაყრდნობით, გამომდინარეობს სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმიდან და მიზნად ისახავს სკოლის ამოცანების შესრულებას.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს 2018–2019 სასწავლო წლის სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა.<br><br>**დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ ცენტრში დამატებით წარმოადგინა, სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი გეგმა რითაც დასტურდება აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.** |
| დადასტურება/დანართი | • 2018-2019 სასწავლო წლის განვითარების ერთწლიანი გეგმით.<br>• სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. |

**2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესი, სადაც დეტალურად არის გაწერილი დოკუმენტაციის და სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი. სკოლაში არის სულ 6 ჟურნალი. ესენია:<br><br>- **საკადრო ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი;**<br>- **საერთო ბრძანების რეგისტაციის ჟურნალი;**<br>- **შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალი;** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

მონიტორინგისჯგუფისდასკვნა

| | |
|---|---|
| • | - **გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ჟურნალი;**<br>ყველა ჟურნალის წარმოება მიმდინარეობს სათანადო წესების დაცვით. |
| დადასტურება/დანართი | • საქმისწარმოების წესით;<br>• სარეგისტრაციო ჟურნალებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანურირესურსი

**3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას გააჩნია სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.<br><br>2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებულია 31 მასწავლებელი. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატებით, eSchool-ის ბაზის გადამოწმებით დასტურდება, რომ მათგან 19 პრაქტიკოსი და 12 უფროსი მასწავლებელია. სკოლაში არის 8 საშტატო ერთეული: დირექტორი, დირექტორის 1 მოადგილე, საქმის მწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ადმინისტრატორი, ექიმი და დამლაგებელი. |
| დადასტურება/დანართი | • საათობრივი ბადით;<br>• საშტატო განრიგით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | • ხელშეკრულებებით;<br>• შინაგანაწესით;<br>• პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლების პირადი საქმეებით;<br>• eSchool-ის ბაზით;<br>• ადმინისტრაციასთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურისდამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5მუხლის„ა"ქვეპუნქტით. |

**3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად**

| | |
|---|---|
| აღწერა | მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.<br>სკოლის თანამშრომლების კომპეტენცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, გარდა ერთი შემთხვევისა: მასწავლებელი გვანცა გელაშვილი სკოლაში მუშაობს 2018 წლიდან ფიზიკა-ქიმიის მასწავლებლად 16 საათიანი დატვირთვით, ხოლო განათლების დამადასტურებელი საბუთის მიხედვით მას აქვს ფიზიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია.<br>2018-19 სასწავლო წლისთვის ხელშეკრულებები გაფორმებული არ იყო დათვალიერებული 25 პირადი საქმიდან 12-თან, ასევე არ იყო ბრძანება მასწავლებლის დანიშვნის შესახებ ან ბრძანებაში აღნიშნული არ იყო საათობრივი დატვირთვა.<br><br>სკოლის ორი პედაგოგის მიმართ არ არის გათვალისწინებული „ზოგადი განათლების შესახებ კანონში" შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, პედაგოგი გვანცა გელაშვილი, არის სტატუსის გარეშე, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

| | |
|---|---|
| | მუშაობს 16 საათიანი დატვირთვით, ხოლო ისტორიის მასწავლებელი, ასევე სტატუსის გარეშე, თამთა შალამბერიძე მიღებულია 2017 წელს და მუშაობს 15 საათიანი დატვირთვით.<br><br>**ვიზიტის პერიოდში სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმდა ახალი ხელშეკრულება.**<br><br>• **რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ორივე პედაგოგთან დაკავშირებით, სკოლის წარმომადგენელს მიეცა სიტყვიერი რეკომენდაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ განახორციელებს ცვლილებას, მონიტორინგის პერიოდში დროის სიმცირის გამო ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ ცვლილების დამადასტურებელ მასალებს წარმოადგენს საბჭოს სხდომაზე.** |
| დადასტურება/ დანართი | •გაფორმებული ხელშეკრულებებით;<br>•ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;<br>•პირადი საქმეებით, დიპლომებით,პედაგოგთა სერთიფიკატებით. |
| შეფასება | **დარღვეულია** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნბრძანების მე-5 მუხლის„ბ"ქვეპუნქტით. |

**3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები, არის წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა.<br><br>სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ვაკანტურ ადგილებზე შერჩევა ხდება კონკურსის წესით. |
| დადასტურება/ დანართი | • სკოლის შინაგანაწესით;<br>• სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასუ |



მონიტორინგის ჯგუფის ,თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

| | |
|---|---|
| | რისდამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„გ"ქვეპუნქტით. |

**3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები**

| | |
|---|---|
| აღწერა | ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სახელშეკრულებო ვადისა და დაკავებული თანამდებობის მითითებით. **მასწავლებლების ნაწილთან ხელშეკრულების დადება და განახლება ვიზიტის პერიოდში განხორციელდა.**<br><br>**ექიმი სკოლას მიღებული ჰყავდა ნახევარ განაკვეთზე, რეკომენდაციის შედეგად ადმინისტრაციამ მოახდინა ახალი შეთანხმება და შეიტანა სათანადო ცვლილება როგორც ხელშეკრულებაში, ასევე საშტატო განრიგში, რაც წარმოადგინა მონიტორინგის პროცესის მსვლელობაში.** |
| დადასტურება/დანართი | • გაფორმებული ხელშეკრულებებით;<br>• საშტატო განრიგით;<br>• მასწავლებელთა საქაღალდეებით;<br>• სკოლის შინაგანაწესით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურისდამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„დ"ქვეპუნქტით. |

**3. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები**



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

5

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მოტივაციის ზრდის მიზნით სკოლა ჩართულია „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში". სკოლას ჰყავს ფასილიტატორი და სკოლაში შექმნილია სკოლის მასწავლებელთა შეფასების ჯგუფი. |
| დადასტურება/დანართი | • კათედრების ოქმებით;<br>• პედაგოგიური საბჭოს ოქმებით;<br>• სერთიფიკატებით;<br>• მასწავლებლებთან გასაუბრებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურისდამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„ე"ქვეპუნქტით. |

3.6 **სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას**

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას იძლევა, ყველა მოსწავლემ, მასწავლებელმა და კოლექტივის ნებისმიერმა წევრმა თავი დაცულად იგრძნოს.<br><br>მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ აზრს. მათ უყვართ სკოლაში სიარული, თავს გრძნობენ დაცულად და მათთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო. სკოლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................

**მონიტორინგისჯგუფისდასკვნა**

| | |
|---|---|
| | მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებენ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას.<br><br>მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა სახის ღონისძიებასა და პროექტებში. წარმოდგენილი მასალების მიხედვით ჩანს, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ინტერესებიდან გამოდინარე, მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების განვითარება.<br><br>როგორც მასწავლებლები და სკოლის სხვა თანამშრომლები, ისე მოსწავლეები<br><br>უფრთხილდებიან სკოლის ქონებას, ახასიათებთ გუნდური მუშაობის პრინციპი. |
| დადასტურება/დანართი | • სკოლის შინაგანაწესით;<br>• კათედრების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციით;<br>• მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით;<br>• მშობლებთან გასაუბრებით;<br>• კლასის დამრიგებლების პორტფოლიოებით. |
| შეფასება | **დაკმაყოფილებულია**,,საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურისდამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის,,ვ"ქვეპუნქტით. |

| | |
|---|---|
| **სულ დანართი** | **4 დანართი, 16 ფურცელი.** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................